



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე



ბრძანება: ბ49.49221091

თარიღი: 19/04/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 აპრილის 48-482210885 წერილი, რომლითაც მერი შემოდის წინადადებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-20 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 20 აპრილს 12:00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. არჩილ ღიბრაძე/

2) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ“ 2022 წლის 25 თებერვლის N 5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. მაკა ჭელიძე/

3) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება - „მერსედეს ბენცის“ მარკის სპეციალიზებული ავტომობილის, საიდენტიფიკაციო ნომერი WDAYMC949EL820617, სახელმწიფო ნომერი JT570JT - ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და დასუფთავების გაერთიანებისთვის“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. რევაზ დიდავა/

4) „ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქ. N8 ბინაზე პლატონ ხევსურიანის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს. რევაზ დიდავა/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გამოქვეყნება;

ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 11 : 00 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი,

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

